# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 98 ხუთშაბათი, 6 მაისი 1910 წ. № 98

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] დღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი—ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) [illegible] კაპ.



## ქართული თეატრი

შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. გრიგოლ რობაქიძე გამართავს

### ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ:** ადამაშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და ვ. ყიფიანი.

**ლექსებს წაიკითხავენ:** ვაჟა-ფშაველა, ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

**კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ:** კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო"), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია") და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება").

**დაწვრილებით პროგრამებში.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—4)

„საარტისტო საზოგად." თეატრი

## 25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

**ხუთშაბათს, 6 მაისს**

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

## გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება

## სადღესასწაულო წარმოდგენა

**წარმოდგენილი იქნება:**

I. **ქართულად:** მოლიერის **ტარტიუფი** მეოთხე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი

II. **სომხურად:** გ. სუნდუკიანცის **დაქცეული ოჯახი** პირველი მოქმედება, რეჟისორი ომ. მაისურიანი.

III. **ქართულად:** ა. ცაგარლის **ხანუმა** მეორე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი.

მილოცვები, ადრესები და სხვა.

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ. ჩეოქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი. ზ. ტერდავითიანი.

**ადგილების ფასი საბენეფისოა.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**საიუბილეო კომისია.**

**15 მაისამდე** **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორაში** მიიღება იმ პირთა განცხადებები, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზედ მუშაობა. ამავე თვის ოც რიცხვებში გაიმართება **გამოსაცდელი წარმოდგენები.** ამ წარმოდგენებზე დაესწრებიან მხოლოდ გამგეობის წევრები, მსახიობნი და პრესსის წარმომადგენელნი.

(5—2) **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ნერვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 [illegible]

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible]ას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირსდოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა** ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღგ, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—წ.—169)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—წ.—334)

**ექიმი** **გაბ. ი. გოკიელოვი** **ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—63)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—117)

**ექიმი** **ვასილ წერეთელი** **ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—176)

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** **კბილისა** **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** **კბილისა ქუთაისში** **ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—36

**კაბინეტი** **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი** **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—წ.—56)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით [illegible] ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** **ბავშვებისა ქუთაისში** **ბადრიძე**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—წ.—11

**ექიმი** **დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ბებია** **ქალი სოფიო ილიას ასული გელჰორდტ-ლოკიში**

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—13)

**ექიმი** **ქუთაისში** **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—34

**ექიმი** **კბილისა ქუთაისში** **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—427)

**ექიმი** **კბილისა** **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—84)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის მრატით. (100—წ.—42)

ახალი დასურათებული
საყმაწვილო წიგნი

### „ცხოველების — — გამჭრიახობა"

შედგენილი ან. წერეთელის მიერ.
ფასი 25 კ.
და მარკ ტვენის თხზულება მრავალი
— სურათით —

### „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი"

ფასი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი"-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—6)

**ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი** ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების **გამგე კომიტეტი** ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის ივნისის 5 დღესა, საღამოს 7 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური **საზოგადო კრება.** განსახილველია: 1) საზოგადოების 1909 წ. მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებით; 2) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1910 წლისათვის, 3) გამგე კომიტეტის მოხსენება გიმნაზიის შენობის თაობაზე 4) მიმდინარე კითხვები სწავლა აღზრდის შესახებ და 5) გამგე კომიტეტის ახალ წევრთა არჩევანი. (3—1)

ამხ. „სორაპანის" გამოცემა

## უკანასკნელი ვადა

### გიუი-დე მოპასსანის

**თხზულებაზე**

ხელის მოწერისა არის

## 10 მაისი.

(უ. 6—2)

**9 მაისს** 1910 წელს, საღამოს რვა საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის ცხვრის პატრონთა და საქონლის მომშენებელთა საზოგადოების საზოგადო კრება. კრება მოხდება საზოგადოების კანტორის გამგეობაში, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.

განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები:

1. გამგეობის წევრების არჩევნები.
2. სარევიზიო კომისიის წევრების და გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევა. და
3. საზოგადოების საორგანიზაციო საკითხების განხილვა. (1—1)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მთავრობის შინაურ პოლიტიკას ვიცნობთ და განვიცდით კიდეც იმას, რაც ამ პოლიტიკიდან გამომდინარეობს. დეპუტატმა მაკლაკოვმა სათათბიროს 28 აპრილის სხდომაზე მეტად მჭერმეტყველურად დაახასიათა ეს პოლიტიკა და სათათბიროს დღევანდელ უმრავლესობის ბიუროკრატიის მისწრაფებისადმი მონური სამსახური. მშვენიერი სიტყვაა მაკლაკოვის სიტყვა იქ ის აზრია გატარებული, რომ მთავრობა, რომელიც პრემიერ მინისტრის პირით ქვეყანას არწმუნებდა, ნორმალურ მართვა-გამგეობის წესები აღვადგინო, ნამდვილად იმავე რეპრესიების პოლიტიკას აწარმოებს, როგორსაც ამ ოთხი წლის განმავლობაში. მაკლაკოვმა სთქვა: „თან და თან, რაც შვიდთი ისპობა მართვა გამგეობაც უარესი და უარესი ხდება. ეჭვი არ არის, მთავრობის ალღო უფრო ვითრდება, რადგან თუ დიდი ხანია ჩაჰქრა სირცხვილი, გაჰქრა შიშიც. წინად ფიქრობდნენ მაინც საზოგადოების აღშფოთება არ გამოეწვიათ, ეხლა სულ სხვაა, ამით თავიც მოაქვთ და დამსახურებათაც მიაჩნიათ... თქვენი ზომები გამოსადეგი არიან რევოლიუციასთან საბრძოლველად, ამ ზომების მეოხებით გაიხქვი სახელი, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიანთ სხვა გზას დაადგეთ, სხვაგვარივ იმოქმედოთ, როდესაც მდგომარეობა სხვა ზომებსა და პრინციპებს თხოულობს".

თუმცა ბევრი სხვაცა სთქვა მაკლაკოვმა, მაგრამ სათათბიროს მემარჯვენე ბანაკმა კვლავ სტვენით გასცა პასუხი, ოქტომბრისტებმა დუმილით გადაიტანეს ყველაფერი.

„რუსკ. ვედომ." შინაურ პოლიტიკის გამო სწერს: „თავიდან ბოლომდე ეს პოლიტიკა გაჟღენთილია შინაგანი წინააღმდეგობით—ერთის მხრივ წარმომადგენლობითი წესწყობილება, მეორეს მხრივ კი ყოველ დღიური პრაქტიკა. ეს წინააღმდეგობაა დემორალიზაციის სათავე, ესაა, რომ უფლებრივ ვალდებულობისა და კანონიერებაზე ყველას რწმენას უკარგავს. მაკლაკოვმა მშვენივრად დაახასიათა ბიუროკრატიის განმანადგურებელი მოღვაწეობა, აგრეთვე დაჰგმო ტაქტიკა სათათბიროს ცენტრისა, რომელიც ყველაფერს დასთმობს, ყველაფერზე ხელს აიღებს, ოღონდ მთავრობის სურვილებისამებრ დაიცვას დღევანდელი მდგომარეობა."

მაკლაკოვმა სწორედ ის აზრი გაატარა, რომ შინაური პოლიტიკა ყოვლად უვარგისია—სათათბიროს ცენტრი და დიდი უმრავლესობა მონურ მიდრეკილებით არის გამსჭვალული და არაფერი ეშველება რუსეთს, სანამ ფართო-საზოგადოებრივ წრეებს არ მოიწვევენ სამუშაოდ ქვეყნის აღორძინების საქმეში და! ახმარებლადაო. კარგა ხანია ასეთ აზრს ჰქადაგებს ოპოზიცია, კარგა ხანია დასაგმობს ჰგმობს, მაგრამ კედლები მეტად სქელებია და ყურთა სმენაც დახშული აქვთ იმათ, ვისაც საზოგადოება არა სწამს და იმის აზრს ანგარიშს არ უწევს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**5 მაისი.**

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** ხმა დადის, რომ ალბანელებს ერთმანეთში მოლაპარაკება აქვთ, შეურიგდნენ მთავრობას თუ არა. ამბობენ, მოლაპარაკებას კარგი შედეგი მოჰყვებაო. სახლში დაბრუნდნენ ვუჩიტრის მიდამოებში მცხოვრები ალბანელები, რომლებიც ჩერნოლევის ომში მონაწილეობას იღებდნენ. პრიშტინში ჩამოსვლისას მათ სიხარულით განაცხადეს მინისტრთან შევთანხმდითო. ოფიციალურ წრეებში ლაპარაკობენ, ჯარმა 22 ამხანაგთან ერთად შეიპყრო ალბანელების მეთაური ისსა ბოლეტინაციო. კერძო ცნობებით კი ბოლეტანაცი დრინიცის ახლო არის და მეამბოხეებს მეთაურობს.

### ფინლიანდია

**ლონდონი.** „ტაიმსი" იუწყება: კარდიფის გემის პატრონთა საზოგადოების თავმჯდომარემ მორელმა საზოგადოების სახელით ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის წერილობით მიმართა და შეატყობინა: რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს ფინლიანდიის ლოცმანთა უწყება ცენტრალურ ადმინისტრაციას დაუქვემდებაროს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ შეუძლებელი გახდება ნავოსნობა ფინლიანდიის წყლებში. მორელი სთხოვს გრეის მიიღოს შესაფერი ზომები.

### ტარნოვსკაიას საქმე.

**ვენეცია.** სასამართლოს დილის სხდომაზედ იტალიის საუკეთესო ნაფიცმა ვექილმა ვეკკინიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. ვეკკინი ტარნოვსკაიას იცავს. ვეკკინიმ ვრცლად უამბო მოსამართლეებს ტარნოვსკაიას ბიოგრაფია და ცხოვრება და უარჰყო პრილუკოვის მიერ წამოყენებული ბრალდებები.

### ჰაერში ფრენა

**პეტერბურგი.** იმ ავიატორებს, რომლებიც ჰაერში ფრენის გაჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ ხელმწიფე-იმპერატორმა საჩუქრები დაურიგა. პოპოვს მიეცა ოქროს საათი, რომელზედაც ამოჭრილია ბრილიანტებით მორთული სახელმწიფო ღერბი, მორანს და ედმონდს —ოქროს პორტსიგარები ღერბებით, ვინცერს და ქრისტიანს—ოქროს საათები ღერბებით, ბარონესა დელაროშს—ოქროს სამაჯური ბრილიანტებით მორთული ღერბით. ორს გარდა ავიატორებმა მიიღეს ოქროს, მექანიკებმა ვერცხლის მედლები.

**მოსკოვი.** ავიატორი უტოჩკინი ხუთჯერ გაფრინდა. ორჯელ მგზავრით და სამჯერ მარტო. მგზავრებით უტოჩკინმა გაფრენა ვერ შეასრულა. უტოჩკინმა იფრინა 12 წამი.

**ოდესა.** გაფრინდა კატანეო. მან იფრინა 12 წუთი და ავიდა 35 მეტრი სიმაღლეზედ.

**პეტერბურგი.** ვუაზენის აპარატით გაფრინდა ბარონესსა დელაროში. ბარონესამ იფრინა 7 წუთი და ავიდა 60 მეტრის სიმაღლეზედ.

### საზღვარ-გარედ.

**ტოკიო.** თუმცა ოფიციალურად უარჰყვეს, რომ რუსეთ-იაპონიის არავითარი ხელშეკრულება არ დაუდვიათ, მაგრამ გაზეთები მაინც ირწმუნებიან რუსეთმა და იაპონიამ ხელშეკრულება დასდეს და ამ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული განწყობილება განმტკიცდაო.

**ბერლინი.** „ლოკალ ანცეიგერ"-ს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: შენიზენელესმა გამოუცხადა კონსულებს, რომ დღევანდელი საშიშო მდგომარეობა მაჰმადიანებმა გამოიწვიესო. მაჰმადიანების მონაწილეობის მიღება ნაციონალურ კრებაში გამოიწვევს, მისი აზრით, უთანხმოებას, რადგან სტამბოლიდან მაჰმადიანებს ასეთი ინსტრუქცია აქვთ. გუშინ შეიკრიბა პალატა კრიტეს მთავრობის შესადგენად. პალატას სხდომა გადიდვა 40 დღით.

**ვალენსია.** მადრიდიდან ჩამოვიდა სორანო. ამის გამო 3 მაისს მცხოვრებლებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიციელებმა, რომლებსაც ქვები ესროლეს, დასჭრეს რამდენიმე კაცი; ზოგიერთები დაშავდნენ ოურ-ზაურის დროს. პოლიციის ოფიცერი ხანჯლით მოჰკლეს. ბევრი დააპატიმრეს. მალე წესიერება აღადგინეს.

**ლონდონი.** 4 მაისს ბუკინგამის სასახლიდან ვესმინისტერის სასახლეში დიდის ამბით გადაიტანეს მეფე ედუარდის ცხედარი.

### რუსეთი

**სიჩევკა.** დაიწვა ორ-კლასიანი სასწავლებლის სადგომი,

**ლიბავა.** დააპატიმრეს 9 კაცი. ბრალდებათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. დაპატიმრების დროს მათ კრება ჰქონდათ. წაიღეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები.

**ოდესსა.** სამხედრო სასამართლომ განიხილა 13 კაცის საქმე. ბრალდებოდათ ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფის წევრობა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ოთხს ოთხი წლით, სამს ორი წლით და რვას რვა-რვა თვით კატორგა, დანარჩენები გაამართლა.

**ჩერნიგოვი.** დაბა კოზირში ადგილობრივ მცხოვრებლების სახლში აღმოაჩინეს ყალბი ფულები, სულ რამდენიმე ათასი მანეთისა.

**პეტერბურგი.** სენატის დადგენილებით კონფისკაცია უყვეს ლ. ტოლსტოის წიგნს: „რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა! პირველად ამ წიგნის საქმე განიხილა მოსკოვის სამოსამართლო პალატამ და წიგნში მთავრობის საწინააღმდე-

გო ვერაფერი ნახა პალატის განაჩენი პროკურორმა განასაჩივრა.

**კალუგა.** თავის სახლის დერეფანში მოკლეს პირვ. არტილერიის პოლკის პოდპოლკოვნიკი პოდგორცევი.

## მიეშველეთ სოფელს!..

წინა წერილებში (იხ. „დროება" 78, 83) ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ჩვენი სოფლის უპირველესი მოთხოვნილება ინტელიგენტი — წინამძღოლია. მართლაც, სოფლიდან ერთი და იგივე გოდება ისმის: „მოგვეშველეთ, გვიპატრონეთ". მაგალითები მოყვანილი გვქონდა ზემოხსენებულს წერილებში მაგრამ უმაგალითოდაც ბევრს ეცოდინება რა მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი სოფელი.

ადგილობრივი ინტელიგენცია — მასწავლებელი, მღვდელი, მემამულე უმეტესს შემთხვევაში მარტო თავის ვიწრო ინტერესების დამცველი არის. ორ მასწავლებელთან მომიხდა ლაპარაკი; ვკითხე: „რამ გაიძულათ თქვენ, რომ მასწავლებლის გზას დაადექით, და ამ მივარდნილს სოფელში სცხოვრობთ? სჩანს ძლიერ გყვარებიათ თქვენი საქმე?" — „რასა ბძანებთ", გაჯავრებულის კილოთი მიპასუხა ერთმა მათგანმა, ჩვენ სამხედრო სამსახურს გამოვექეცით, თორემ რა დაგვაყენებდა ამ უდაბნოში. რასაკვირველია, სოფლის მღვდლებსაც არ შესწევთ იმდენი ზნეობრივი ძალა და სწავლა განათლება, რომ ხალხის სასარგებლოდ გამოიჩინონ მხნეობა და მოღვაწეობა. ინტელიგენტი — მემამულე ხარბად ეტანება ქალაქს და სოფელში იშვიათად ბრუნდება, სხვა პროფესსის ინტელიგენტებზე რა მოგახსენოთ, მგონია იმათი სუნიც კი არ ისმის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში. 30 სოფელი დავიარე და ყველგან ვეკითხებოდი: ყოფილა თქვენში წ.-კ. საზოგადოების წევრი, გაუმართავს წარმოდგენები, კითხვები"? — „ბატონო, ჩვენ არც კი ვიცით რა საზოგადოებაა", სად არის და რომელი წევრი უნდა ყოფილიყო", მეუბნებოდნენ სოფლელები; წარმოდგენა კი, მართალია, გაგვიმართა ერთმა ბოქაულმა, კაი ქართველი კაცი იყო". მიპასუხეს ერთ სოფელში.

— დიაღ, ეს პატარა მაგრამ დიდ მნიშვნელოვანი ფაქტები გახლავთ. 30 წელიწადი მუშაობს „ქარ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოება", მაგრამ ფეხი ჯერ ვერ გაუდგამს სოფელში და დღემდის მუშაობა სოფლად ვერ მოუწყვია.

ეხლანდელმა მომენტმა მწვავედ წამოაყენა საკითხი სოფლის გამაგრებისა ან იმის საბოლოოდ განადგურებისა. ინტელიგენციამ იგრძნო ეს საფრთხე რომელიც ჩვენს სოფელს მოელის და სულიერს მდგომარეობაშიაც გამოხატა ეს, ეს სულიერი მდგომარეობა გამსჭვალულია უიმედო პესიმიზმით და მოცულია გოდებით, იმ პესიმიზმით რომელიც ყოველივე მუშაობისა და საქმიანობის განმანადგურებელია... მოდის ახალი თაობა, ახალგაზრდა ხალხი მოდის და ელის უფროს მამების რჩევას, გამამხნევებელს იმედს მუშაობის ნიადაგზე, მაგრამ ჩვენ წელში მოხრილნი, თავ-ჩაღუნულნი პესსიმისტები ვუხდებით. არ ვარგა...

ამის შედეგი კი ის არის, რომ არც ერთი ჩვენი დაწესებულება რიგიანად არ მუშაობს და სოფელი უყურადღებოდ არის მიგდებული.

მომავალ თაობის საუკეთესო ნაწილს ეხლანდელი მომენტი დიდ და მძიმე საქმეს ავალებს: წადით სოფელში, მიეშველეთ სოფლის ხალხს რჩევით, საქმით, და მუშაობით.

**დ. კახელი.**

## მსახიობ გ. ვ. გედევანოვის იუბილეის გამო.

დღეს 6 მაისს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება მსახიობის გედეონ ვასილის ძე გედევანოვ-მირაღიანის 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაული. სიამოვნებით ვეგებებით ამ დღესასწაულს და დარწმუნებულნი ვართ ყველა, ვისაც ქართული თეატრის ბედ-იღბალი რამედ უჩანს შესაფერისად პატივსა სცემს გედევანოვს, რომელმაც 25 წელიწადი მუყაითად იმოღვაწა ჩვენს სცენაზე. აღსანიშნავია, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ ქართული და სომხური დრამატიული საზოგადოებანი. გედევანოვი ემსახურებოდა ქართულსა და სომხურ სცენებს. ვინ არ იცის, თუ რა არის სცენაზე სამსახური. არაფერი გულს არ გიხალისებს არც ფული და არც პატივი და სწორედ დამსახურებაში უნდა ჩაეთვალოს მსახიობს ისიც, რომ ის არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას და 25 წლის განმავლობაში ხელოვნების ტაძარს ემსახურა.

გ. გედევანოვმა სცენა თითქმის 13 წლისამ გაიცნო, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც იგი ტფ. პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა წარმოდგენების მართვაში. 1884 წელს იუბილიარი სომხურ დრამატიულ დასში მუდმივ არტისტად ჩაეწერა. ამ დღიდან მას სცენა აღარ დაუტოვებია. 1886 წელს იუბილიარს ჩვენ ვხედავთ განსვენებულ ტრაგიკის ადამიანის ტრუპპაში, სადაც იგი ისეთ საპასუხისმგებლო როლებს ასრულებდა, როგორც ორგონი („ტარტიუფი"), პოლონი („ჰამლეტი"), სგანორელი („დონ-ჟუანი") და სხვა. 1889 წელს ვასო აბაშიძემ მიიწვია ქართულ დრამატიულ დასში. გ. გედევანოვმა ქართულ სცენაზე პირველად „უნდა გავიყარნეთ"-ში ითამაშა. იმ დროის ქართული გაზეთები ძალიან აქებენ გედევანოვს და აღტაცებით ეგებებიან ახალ ძალის შეძენას. მას აქეთ გ. გედევანოვი მუდამ ტფილისის ქართულ სცენაზედ თამაშობდა და ყოველთვის სინდისიერად და დაკვირვებით ასრულებდა თავის როლებს. გარდა ამისა, იუბილიარი პრესაშიაც იღებს მონაწილეობას. იგი მუშაობდა „მშაკში", „მურჩში"; „ათრონში" და „გეხორვესტში". თავის წერილებში იუბილიარი უმთავრესად თეატრს ეხებოდა. მან სომხურად გადათარგმნა ა. ცაგარლის „ციმბირელი" და „ბაიყუში". მისივე დაწერილია „ქართული თეატრის მოკლე ისტორია". ამას გარდა იუბილიარი ბევრს მუშაობს პედაგოგიურ ასპარეზზედ, იგი დიდი ხანია მასწავლებლობს სომხურ სემინარიის დაბალ კლასებში და მოწაფეების სიყვარულიც აქვს დამსახურებული.

## ჩეხების ბრძოლა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის

(თ ა რ გ მ ა ნ ი)

ჩვენდა სასირცხვილოთ აქამდის არაფერი ვიცოდით ჩეხებზე, როგორც კულტურულს ხალხზე. არ ვიცნობდით მათ სკოლებს, დაწესებულებებს, „სოკოლის" („შევარდენთა") საზოგადოებებს. აქ, ჩვენს სახლში დამსხდართ, აზრადაც არ მოგვსვლია, რომ იქ, მთებში დარჩა კიდევ ერთი მუჭა სლავიანები, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდა თავის მეზობელ გერმანელებს, რათა შეენარჩუნებია პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაეკმაყოფილებია სურვილი ბედნიერი ცხოვრებისა, არ გამქრალიყო მრავალ სხვა ხალხებში, და მტკიცეთ დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, ზნე-ჩვეულება, ხასიათი.. მაგრამ ყველაფერი წინ ელობებოდა ჩეხებს: არა მარტო ადამიანები, არამედ ბუნებაც და თვით ისტორიაც.

ჩეხები მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ ძმებ სლავიანებს, მათ გარს ერტყათ მთები, რომელშიაც ისინი გამომწყვდეულნი იყვნენ, როგორც ხაფანგში. ჩეხებს ეხვივნენ ირგვლივ მეზობელი-გერმანელები, რომელნიც ისე უცქეროდნენ მათ, როგორც კარგ საკბილო ლუკმას.

მაგრამ ჩეხები იბრძოდნენ. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ინთხეოდა სისხლი. რამდენი მწუხარება, ტანჯვა-ვაება გადიტანა ამ ერთმა მუჭა მამაცმა გუნდმა!

დიდი ხნის მედგრად ბრძოლამ გაამაგრა, გააკაჟა ჩეხები და დევიზათ სასისხლოთ მოსულ მტერთან შებრძოლება დაუდვა.

ბევრი წინამძღოლი და საუკეთესო პირი დაიღუპა უსწორო ომში, რომელსაც განუწყვეტლივ ეწეოდნენ ჩეხები თავიანთ წმინდა იდეალებისთვის, — თავისუფლების მოსაპოვებლად.

მრავალი ბრწყინვალე ჩეხი უდროოთ შთანთქა საფლავმა... ძნელია ეხლა ყველაფრის აღნუსხვა.

იყო მომენტები როცა ბედი ეღიმებოდა ამ უმწეო ხალხს. ასე გეგონებოდათ უაღრესი ტანჯვით საკმარისი სასყიდელი გადაიხადეს თუ ბედნიერების მოსაპოვებლათ ვერა, განთიადის იმედისთვის მაინც... მაგრამ ეს მოჩვენებანი მსწრაფლ ფანტდებოდნენ და ჩეხები კვლავ თავიანთ უბედურობის და მრისხანე მტრის წინაშე — იდგნენ...

ჩეხები იბრძვიან ეხლაც. მაგრამ ეს ის განმანადგურებელი, ერთიანად წამლეკი და მომსპობი ბრძოლა კი არაა; არა, ეს თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, კულტურული, უსისხლო ომია, სადაც არც ხმალია და არც ზარბაზანი, არამედ სკოლა, სწავლა და განათლება.

ეგ ეკონომიური ბრძოლაა, რომელიც მებრძოლს სიხარულსაც ანიჭებს და მწუხარებასაც. ამ ომში ჭკუითა და კულტურით ძლიერი ერი გამარჯვებული რჩება. ჩეხებმა კარგად შეიგნეს და დაეწაფნენ სწავლას და ცოდნის შეძენას. ისინი ართმევდნენ მტერს ყველა იმას, რითაც კი მტერი მძლავრი იყო, გარდა, თოფ-ზარბაზნებისა.

მათ დაიწყეს სწავლა, მუშაობა და ამ გზით მოიპოვეს ბედნიერება და კულტურა. ჩეხებს არა თუ არ შეეძლოთ ჩამორჩენა მეზობელ გერმანელებზე, არამედ საჭირო იყო წინ გასწრება, აჩქარებულის ნაბიჯით წინ წასვლა... ამას თვით ცხოვრება, ბრძოლა უკარნახებდა და ავალებდა კიდეც... და დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ ამ მუშაობის ნაყოფს. შენიდეთ მათ სკოლებს, სასახლეებს... — ეგ სიმაგრეა მძლავრ ხალხის გენიისა... და ეს სიმაგრე იცავს ჩეხებს გერმანიის ბრჭყალებისაგან.

ჩეხი, თავის კერძო საჭიროებისთვის ნაკლებ მხარჯველი, წყნარი, თავმდაბალი, მომჭირნე, ეხლა დიდ ფულსა ხარჯავს საერთო განათლების საქმისთვის. მან მწარე გამოცდილებით იცის, რომ მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძლიან გაუადვილოს ბრძოლა მტერთან თავის არსებობის დასაცველად. ჩეხებმა კარგად იცოდნენ, რომ განათლებას შეუძლიან გაამდიდროს ერი, ახალი ცხოველმყოფელი ძალა დაჰბადოს ამ ერის ვინაობის შესანარჩუნებლად და აი, ისინი შეუდგნენ დიდებულ საქმეს — ყველა მოქალაქის სკოლაში აღზრდას.

ჩეხიაში შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება ვაჟებისა და ქალებისათვის. ამასთან საჭირო იყო გაადვილება დაბალ საზოგადო ანუ პროფესიონალურ სასწავლებიდან მაღალ სასწავლებელში გადასვლა და აი, ჩეხიაში ჩვენ ვხედავთ, რომ დაბალ სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს უფრო მაღალ ტიპის სკოლასთან, რომლისთვისაც არაა განსაზღვრული არც წლოვანობა, არც ეროვნება და არც სარწმუნოება. ყველა ეს კედლები, — როგორც ხელოვნურად აღმართული ამა ქვეყნის ძლიერთაგან, დაანგრია და მოსპო თვით ცხოვრებამ. არც ეკონომიური დაბრკოლება ელობება წინ სწავლის მსურველს. სწავლისთვის დიდი გადასახადი არ არის დაწესებული: დაბალ და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფული ძლიერ მცირეა; ღარიბთათვის, მით უმეტეს ნიჭიერთათვის კი ის სრულიად არ არსებობს.

ჩეხების დროშაზე ძლიერ გარკვეულათაა ამოქსოვილი სამი ყველაზე მარტივი და ძვირფასი სიტყვა: „**თავისუფლება, ძმობა და სიყვარული**". მათ თავის დღეში არ უღალატნიათ, ამ დროშისთვის პირიქით მუდამ მაღლა ეჭირათ — ეს დროშა.

ჩეხები არა მარტო ხალხის გონებრივ განვითარებაზე ზრუნავენ, არამედ ფიზიკურათაც მის აღზრდას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. მხოლოდ ჯანმრთელი ხალხს შეუძლიან შექმნას სალი კულტურა იმეორებენ ისინი. ხალხის ფიზიკური განვითარების თავს იდვა გიმნასტიურმა საზოგადოებამ „სოკოლმა" (შავარდენი).

დღეს ჩეხიის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია. სიცოცხლით სავსე ჩეხი საოცარის სისწრაფით ვითარდება. ჩეხის მომხიბვლელი, სიმშვენიერით აღვსილი ბუნება კი სამაგალითო ილიუსტრაციაა მრავალ ფეროვან ჩეხიის ცხოვრებისა...

**გარლამ იმერელი.**

## კოოპერაციის საქმე ფინლიანდიაში

ფინლიანდიამ ხანგრძლივის და მუყაითის მუშაობით დიდი ნაყოფი გამოიღო — კულტურულად დაწინაურდა, ეკონომიური ძალები განავითარა. პოლიტიკურ უფლებებითაც ხარბად ისარგებლა თავის შინაურ აღორძინებისა და წარმატების საქმეში. პრაქტიკული ფინლანდელი ისეთ ორგანიზაციებს აარსებს, რომელიც მას სარგებლობას მისცემს, ნაკლებ ენერგიასა და დროს დახარჯვინებს. ამიტომ, გასაკვირველი არაა, რომ კოოპერატიულმა მოძრაობამ ფეხი მოიკიდა ფინლიანდიაში და დღეს მას ფართო სამოღვაწეო ასპარეზი აქვს მოპოებული.

ტოტომიანცის ცნობით პატარა ფინლიანდიაში არსებობს 507 მომხმარებელი საზოგადოება, სადაც შედის 100.000 წევრი. საზოგადოებათა „კავშირში" შედის 137 საზოგადოება. მომხმარებელ კოოპერატივების შემდეგ მეორე ადგილი ერბოს მწარმოებელ კოოპერატივებს უჭირავთ. 70% ფინლიანდიაში დამზადებულ ერბოსი კოოპერატივების მიერ გაკეთებულია. თითქმის 352 ერბოს მწარმოებელი საზოგადოება არსებობს და 33.000 წევრი იღებს ამ საზოგადოებებში მონაწილეობას. მესამე ადგილი უჭირავს საკრედიტო ამხანაგობებს, რომელთა რიცხვი 364 მეტია. გავრცელებულია ამხანაგობანი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღებისა და საქონლის შესაძენად, ამხანაგობანი ორთქლის სამკალის შესაძენი და საამხანაგოდ მო-

## ორი მიმოზა

I.

გაზაფხულის პირს,
ცისფერ ბუჩქის ძირს
ვნახე მიმოზა კუკურად შლილი,
ცელქი პეპელა
არხევდა ნელა,
თავს ევლებოდა ნიავი გრილი.
ცის ნამი ტრფობით
ჩაჰხუტებოდა,
ის კი მორცხვობით
იღიმებოდა.

* * *

ვერ წარმოიდგენ, ცავ და მიწავ, რა რიგ მომწყურდა,
გავსწიე ხელი მოსაწყვეტად ამბორი მსურდა,
მაგრამ ოცნებას ტლუ მგოსნისთვის ესეც შეშურდა:
თავი დახარა,
ნამი ანკარა
გადმომაყარა
და ფოთლებ შუა დაიმალა, ცრემლად შეცურდა.

* * *

დაე, ჰყვაოდეს, სუნს აფრქვევდეს მინდორ-ტყე-ველებს,
შორიდან ცქერა მე თვით მკვდარსაც ამამეტყველებს.

II.

ქვებით მოკენჭილს,
ერთს მწირს ყრუ ადგილს,
ვნახე მიმოზა მახინჯი, კრული,
იდგა გამხმარი
ფოთლებ დამჭკნარი,
ირგვლივ ნარ-ეკლით შემოზღუდული.
არ იცინოდა,
აწყლს ეხვეოდა
მგზავრი არავინ ეკარებოდა;
ანთხევდა ნაღველს,
სწამლავდა ჰაერს,
მზის სხივთან ერთად ისიც ქვდებოდა.

* * *

ვერ წარმოიდგენ, ცავ და მიწავ, რა რიგ შემზარდა,
მივუახლოვდი და მინდოდა შთამენთქა უფსკრულს, —
მაგრამ მყის ვიგრძენ თუ იმ მხარეს ის ვით უყვარდა,
და ზიზღის ნაცვლად მხოლოდ ვგრძნობდი უხმოდ სიბრალულს!..

**ი. გრიშაშვილი.**

## ობოლი ცრემლი სიყვარულისა

**ჩემი სიმღერა.**

წყლის კიდეს იდექ ხეს მიყრდნობილი,
ხელში თეთრს ზამბახს ათამაშებდი;
ვარსკვლავი იყავ ცით მოწყვეტილი
ირგვლივ სხივს ჰფენდი და ამშვენებდი!
რომ შემოგხედე, სული შემშფოთდა,
ვიგრძენ ტკივილი ნორჩი წყლულისა
და უნუგეშოდ გადმოიდვარა
ობოლი ცრემლი სიყვარულისა!

* * *

რომ მშორდებოდი, — გეთხოვებოდი,
შენ მოხდენილად იღიმებოდი;
გატაცებული შორის ალერსით
აზრსა ვკარგავდი, ვიბნიდებოდი!
უკანასკნელად მითხარ: მშვიდობით!
და კიდეც გაწყდა სიმი გულისა,
ვეღარ გხედავდი, თვალს მიბნელებდა
ობოლი ცრემლი სიყვარულისა!

* * *

ოჰ, რა სასტიკად სევდით დამსაჯე,
ამაოდ გაჰქრა წყნარი ოცნება;
აწ მისუსტებულს უცნობის ხელით
შავი საფლავი მე გამეთხრება!
იქ მაინც მოდი, ნუ ხარ უწყალო,
ჰფინე სამარე წამებულისა;
ყვავილით მორთე და დამაფრქვიე
ობოლი ცრემლი სიყვარულისა!

**ა. შანშიაშვილი.**

## ყოველ დღე სიკვდილი *)

(ნოველა)

იგი იყო დევნილი.

შორს, უცხო მხარეში ულამდებოდა დღე, უთენდებოდა ღამე სამშობლოს ნატვრაში, მასზე ოცნებაში.

დიდი, დიდი ხანია მის თვალებს აღარ უხილავს სამშობლოს ველ-მინდორნი, ფართენი, სწორენი თითქოს, განგებათ ბრძოლისთვის შექმნილნი; აღარ უნახავს მამულისშვილნი ქალნი და კაცნი, ახალგაზდანი მარადის შორს მიმსწრაფნი, მაღლა მაცქერალნი, მეოცნებენი, ყველას მოსიყვარულე და თვითაც ყველასთვის შესაყვარებნი.

დიდი, დიდი ხანია აღარ მსმენია სამშობლოს მდინარეთა დუდუნი, ჩხრიალი, ბავშობიდანვე ტკბილ ნანად ნასმენი, მშობლის ხმად ყურში ჩაწვეთილი, ღვთიურ ხმად გულში ტკბილ ჰანგათ ქცეული.

სად არიან მისი ამხანაგნი, ნაცნობნი, თანშეზრდილნი, თანა-მებრძოლნი?

იგინი შორს არიან... იგინი ციხეში არიან... იგინი მიწაში არიან...

აღარ ესმის მათი ხმა; აღარ ესმის მათი კვნესა...

მხოლოდ წყნარი ნიავი, ნათელი მზე და ბადრი მთვარე იყვნენ მისი სამშობლოს მოციქულნი, მისი ამბის მთხრობელნი.

მაგრამ თხუთმეტი დღეა, სრული თხუთმეტი დღე, რაც დევნილს აღარა ჰსმენია სამშობლოს მხარით ნიავის ქროლა. მზის სხივებითაც მხოლოდ ღრუბლები სტკბებოდნენ, განუმსჭვრეტელი ნისლი და არც მთვარის გზა-კვალი იცოდა საბრალო დევნილმა, სამშობლოს ამბის მონატრულმა, იმის ნატვრაში დაობლებულმა.

იგი ხშირად გამოსულა შუა-ღამისას შუა-მინდორზე იმ იმედით, რომ იქნებ ერთი წუთით მაინც მოეკრა ყური ნიავის წყნარი ქროლისთვის, მის ოღნავ სისინისთვის და გაეგო რამე სამშობლო მხარეზე.

ბევრჯერ მოსჩერებია გაშტერებით შავ ღრუბლებს გულში, იქნებ ერთი სუსტი სხივისთვის მაინც მოეკრა თვალი და მასში ენახა სამშობლო მხარე, მისი სურათი.

რამდენჯერ მოიწოდებდა ვით შეყვარებული გაბადრულ მთვარეს, რომ მის სინათლეში, მის სიწყნარეში ამოეკითხა თავის სამშობლოს ბედ-იღბალი, მისი წარსული.

მაგრამ... არ მოჰქროდა ნიავი, არ სჩანდა მზის სხივი, სანატრელი გახდა მთვარის დანახვა.

მეთხუთმეტე ღამეს კი ტკბილად ჩაეძინა საბრალო დევნილს და ნახა ტკბილი სიზმარი, თვით სიზმარშიაც წარმოუდგენელი, დაუჯერელი.

მას დაესიზმრა, რომ მის სამშობლოში ძლივს გათენდა ერთი დღე, მხოლოდ ერთი დღე, როცა არც სახრჩობელა იყო ამართული სამშობლოს შვილთა ჩამოსახრჩობად, არც ტყვია იყო გასროლილი მამულისშვილთა გულგასაგმირად.

სტკბებოდა, ჰხარობდა, შვებას ეძლეოდა გული ტანჯულის დევნილისა, რომ მის სამშობლოს გაუთენდა ბედნიერი დღე, ერთი დღე, სანატრელი დღე.

ძილში უეცრივ მოესმა ფანჯრის შუშების ნელი წკრიალი, შეუმჩნეველი შრიალი.

წამოხტა ზეზე. გავიდა კარში.

თურმე ნიავი, სამშობლოს ნიავი მოქროლილიყო.

იგი მაშინვე გაექანა ფართე ველზე, მწვანით მოსილზე, სადაც ნიავი უფრო თავისუფლად დაჰქრის, თან გულს ართობს ქორფა ბალახთან ჩურჩულში, ლაქუცში და უფრო ტკბილად, უფრო ერთგულადაც მოუთხრობს ყველას თავის ნახულს, თავის ნასმენს.

შეჩერდა დევნილი ტრიალ მინდორზე, ბალახთა შორის და მოუთმენლად შესძახა თავის სამშობლოს ერთგულ მოციქულს.

— ნიავო, ცელქო ნიავო! მითხარი ჩქარა! მახარე ჩქარა, ნუ თუ მართლა გათენდა ჩემ სამშობლოში ისეთი დღე, როცა არც სახრჩობელა ამართულიყოს სამშობლოს შვილთა ჩამოსახრჩობად, არც ტყვია გასროლილიყოს მამულის შვილთა გულ-გასაგმირად?

**ნ ი ა ვ ი**

— არა, დევნილო! არ გათენებულა ეგეთი დღე შენს სამშობლოში.

ეგ მხოლოდ ოცნებაა სიზმარში, ნატვრაა სიზმარში ტანჯულ დევნილის გულისა.

**დ ე ვ ნ ი ლ ი**

მაშ ნუ თუ ისევ სიკვდილია გამეფებულია?

**ნ ი ა ვ ი**

— ისევ სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი..

დევნილმა ნაღვლიანათ ამოიკვნესა:

— ო, ღმერთო, ღმერთო! ხუთი წელიწადი ყოველ დღე სიკვდილი!..

ნიავმაც გულდაწყვეტით მისცა ბანი:

— ყოველ-დღე სიკვდილი სახრჩობელაზე ან მოძმის ტყვიით..

**დ ე ვ ნ ი ლ ი**

— მიამბე, მიამბე ნიავო, ყველაფერი, რაც გინახავს ამ ორ კვირაში! შეეჩვია გული ჩემი სამშობლოს ტანჯვას, შეეთვისნენ ყურნი ჩემნი სამშობლოს კვნესას,

*) ეს ნოველა დამაწერინა ვ. კოროლენკოს წერილებმა „Быт. Явл." „Р. Б." NN 3, 4 და ზოგიერთი ფაქტიც იქიდანა მაქვს ამოღებული, მხოლოდ ჩემებურად.

მხმარებელი ამხანაგობანი ნაწარმოებთა ბაზარზე გასატანად და მრავალი სხვა.

ამას გარდა, ფინლიანდიის დედა ქალაქ ჰელსინგფორსში სახლების ნაწილი აგებულია ნახევრად კოოპერატიულ და ნახევრად სააქციონერო ნიადაგზე, იქვე 20-მდე კოოპერატიული სამზარეულოა, რომელიც საარაკო იაფ ფასებში აძლევს სადილებსა და საუზმეს ინტელიგენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს. ეს სამზარეულოები საჭმელს სახლშიაც უგზავნიან და აქვთ სასადილოც. ამ სამზარეულოების წყალობით ბევრი ფინლიანდიელი ქალი განთავისუფლებულია სახლში ფუსფუსს სადილისა და საუზმის მოსამზადებლად. კოოპერატიული ბინები მეტად კარგად არის მოწყობილი, ყველა საჭიროებებით, სამზარეულოც მეტად კარგი ხარისხის საჭმელს აწვდის თავის მომხმარებლებს. კოოპერატიული ბინები ცენტრალურ სადგურით თბება, სამზარეულო გაზით ხურდება, ბინის კედლებზე საგანგებოდ მოწყობილია საჭმლის მისატანი მოწყობილება. ეს იმ შემთხვევაში, თუ იმავე შენობაშია მოთავსებული კოოპერატიული სამზარეულო. ყველა ბინას აქვს საბანაო ოთახი და მეტად ნათელი ოთახი მოსამსახურეთათვის. კოოპერატიული სამზარეულო სადილს თითო კაცს თვეში 5 მან. 50 კ. აძლევს. ასე იაფად სადილს იმიტომ აძლევენ კოოპერატიული საზოგადოებები, რომ ერთბაშათ რომ მზადდება—ენერგია ნაკლები იხარჯება შედარებით და ამასთან სადილს იმ ფასში აძლევენ, რაც თითონ უზით.

ჰელსინგფორსში არის საზოგადოება „ელანტო", სადაც 2000 წევრი შედის. ამ საზოგადოების თორნე აცხობს როგორც პურს ისე ბულკებსა და ნამცხვარს (შეჩენიე). ქალაქის ერთ დიდ ქუჩაზე ამ საზოგადოებას აქვს საყავე, რომელიც ისე კარგადაა მოწყობილი, რომ იმათაც კი აკმაყოფილებს, ვისაც გემოვნება მეტად აქვს განვითარებული. „ელანტოში" მონაწილეობას იღებენ ყველანი, განურჩევლად კლასისა, ხელობისა და რწმენისა. გამგეობაშიც ასეთი შემადგენლობაა. აღსანიშნავია, რომ „ელანტოს" გამგეობაში სხვათა შორის სამი დირექტორი და ერთი პროფესორი შედის.

სტუდენტების კოოპერატიული სასადილო „ოსმედაც" ყურადღებას იქცევს. 600 სტუდენტი სადილობს ყოველ დღე, ამას გარდა დიდძალი ინტელიგენტები და მოსამსახურენი სადილობენ ამ სასადილოში. საჭმელი და საუზმე მეტად უხვია. სამეურნეო ნაწილის სათავეში ქალი სტუდენტია.

ფინლიანდიაში არსებობს აგრეთვე კოოპერაციების მომწყობი და მქადაგებელი საზოგადოება—„პელერვო". ეს საზოგადოება პროპაგანდისტებს აგზავნის ფინლიანდიის სხვა და სხვა ადგილებში კოოპერაციის საქადაგებლად და მოსაწყობად. მთავრობა სუბსიდიას აძლევს ასეთ საზოგადოებას, მაგრამ კონტროლს კი არ უწევს, რათა არაფრით არ შეჰბორკოს მისი თავისუფალი თაოსნობა. „პელერვოს" პროპაგანდისტებს უმაღლესი სამეურნეო ცოდნა აქვთ მიღებული და კოოპერაციებს გარდა ამ ცოდნასაც ავრცელებენ სოფლად.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ვერის კატასტროფა.** საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნმა რუსანოვმა ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურობის შესახებ გამოძიება უკვე დაამთავრა. ამ საქმის გამო ბ-ნ რუსანოვის განკარგულებით, 4 მაისს დილით დაპატიმრებულ იქმნა ტრამვაის დირექტორი ბატაილი, რომელიც ამავ დღეს საღამოთი განთავისუფლებულ იქმნა 10,000 მანეთის სათავდებო ფულის შეტანის შემდეგ. დაპატიმრებულ იქმნა აგრეთვე ტრამვაის მოძრაობის უფროსი ალექსანდერი და მთავარი ინჟინერი. ფულის შეტანის შემდეგ ესენიც გაანთავისუფლეს. პირველმა 5 000 მანეთი, ხოლო მეორემ 3.000 მანეთი შეიტანა.

✦ **ციხიდან განთავისუფლება.** ადმინისტრაციის განკარგულებით, 4 მაისს საგუბერნიო ციხიდან გაანთავისუფლეს ამას წინად დაპატიმრებული ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებელი ქალი მ. ო. სოლოვიანი.

✦ **სამუსიკო საზოგადოება.** 4 მაისს კრება ჰქონდათ სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების წევრთ. კრებამ, სხვათა შორის, გადასწყვიტა 30 მაისს მუშტაიდში დიდი სეირნობა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ. სეირნობის დაწვრილებით პროგრამის შესამუშავებლად შემდეგი კრება 11 მაისისთვის დაინიშნა.

✦ **სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოების მიღება.** როგორც გავიგეთ ს. სამშვილდო მცხოვრები დავით კაციაშვილს სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოება მიუღია. მიზეზათ ასახელებდა იმას, რომ სამშვილდოში ის ერთად ერთი მართლ მადიდებელი იყო სადაც მეზობელი მღვდელი არ დაიარებოდა მასთან. მუდამ და ყოველთვის ხვეწნა მუდარა სჭირდებოდა მასთან და ისიც ვინ იცის როდის აუსრულდებოდა თხოვნა. მის მამის სიკვდილზედ მერვე დღეს ძლივს ეღირსა რუსის მღვდლისგან ანდერძის აგება და დასაფლავება.

✦ **გადამდები სენი.** სოფელს დიდ თონეთში სახადი მძვინვარებს. მაზრის ექიმს გაუსინჯავს ავადმყოფები და ერთი იავით ფერშალი დაუტოვებია იქ, რომ ყოველს სახლს დეზინფექცია გაუკეთოს.

✦ **სამაზრო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე.** სამოსწავლო უწყების მეორე ოლქის სამაზრო სკოლების მეთვალყურეთ დაინიშნა მღ. ნ. სევასტიანოვი (ბერძენია). ახალმა მეთვალყურემ ქართული ენა სრულებით არ იცის.

✦ **სანიტარული დათვალიერება.** გუშინ ექიმმა ქალმა ფომანა ოსიპოვისამ და ბოქაულმა გამბერგმა ქალაქის პირველ საპოლიციო უბანში სახლები და დუქნები დაათვალიერეს. ბევრი სახლი და დუქანი ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმები.

✦ **შრომის ბირჟაზე.** „შრომის ბირჟისთვის" ადგილის გამოსაძებნად აპრილის განმავლობაში 334 უმუშევარს მიუმართავს. მათ შორის 171 კაცია და 164 ქალი. „სალდათის ბაზარში" 3801 შავი მუშა გამოსულა; მათ შორის 1424 უკვე დაუქირავებიათ.

✦ **აფერისტი** ორ მაისს სასტუმრო „ვოსტოკში" პოლიციამ დააპატიმრა სპარსეთის ქვეშევრდომი ვინმე სიმონ ბადალოვი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მღვდლის ტანისამოსში გადაცმული მოგზაურობდა რუსეთსა და ამიერკავკასიაში და ფულს ჰკრებდა ვითომდა იერუსალიმის ტაძრისთვის, ნამდვილად კი თავის კერძო საჭიროებებს ახმარებდა.

✦ **მინისტრის მოსვლა.** 24 მაისს ტფილისში მოელიან ფინანსთა მინისტს სტატსსეკრეტარს ვ. ნ. კოკოვცევს. ტფილისის გუბ. თავად აზნაურობამ და ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა მინისტრს სადღესასწაულო წესრიგით შეხვდენ. მინისტრის თანადასწრებით სხვათა შორის მოხდება თავადაზნაურობის საზოგადო კრება კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

✦ **უპასპორტონი.** 4 მაისს პოლიციამ შეიპყრო: მეცხრე საპოლიციო ნაწილში 15 კაცი, ხოლო მეხუთეში—11. მეხუთე უბანში დაჭერილთა შორის იყო, ახალგაზრდა ქალი ირინა ივანეს ასული კოვალევისა, რომელმაც გაქცევა მოინდომა და პოლიციის შენობის ფანჯრიდან ქუჩაზე გადახტა. ქალს მარჯვენა ხელი დაუშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს და სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შემდეგ განთავისუფლებულ იქმნა.

✦ 4 მაის პოლიციამ შეიპყრო ტფილისის მეორე გილდის ვაჭარი რაიმ დანილეს ძე შაბანოვი, რომელიც თურმე ნაქურდალ საქონელსა და ნივთებს ყიდულობდა. მის სახლში მრავალი ნაპარავი ნივთები აღმოჩნდა. ამავ საქმის გამო შეიპყრეს იბრაგიმ კასიბ-ოღლი

# პატარა ფელეტონი

## ......წუთია საუკუნისა

რა მძიმედ, რა ბნელად და უჩინარად ვითარდება ცხოვრება! ვინ შეისწავლის მის სახეს? ვინ ჩასწვდება მის გულს? ვინ ასწერს მის კვალს განვლილს და გზას გასავლელს? ვერა, ვერავინ!

გავიდა ერთი საუკუნე—და გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი; გავიდა მეორე საუკუნე და—კიდევ რამდენიმე ნაბიჯი.

ცხოვრების საუკუნენი კი იცით როგორა სდგებიან?

აგერ ტანჯვაში, შრომაში ვიღაცამ ამოიკვნესა და ეს გახდა წუთად საუკუნისა.

აგერ ბრძოლაში, სასტიკ ბრძოლაში გაიგმირა ვიღაცის გული და ესეც გახდა წუთად საუკუნისა.

იღვრიან ცრემლები მშობელთა შეყვარებულთა, დაობლებულთა და ესეც წუთია საუკუნისა.

წრფელი გულით, ხალხის სიყვარულით აგერ ვიღაცამ მიიტანა ცხოვრების ტრაპეზზე საუკუნო სამსხვერპლოდ თავის სუსტი ძალი და ღონე, ფაქიზი აზრები და მაღალი გრძნობანი, სამაგიეროდ კი მიიღო სიმშილი, წყურვილი, დამცირება, გაჭირვება; იგი გულმოკლულად შესჩერებია უმწეოდ დარჩენილ მშობლებს, ტანჯვამდის საყვარელ სატრფოს, უსუსურ უმანკო ბავშვებს, მის სახეში იხატება მისავე სიჩუმით შებორკილი ტანჯვა, თვალებში ელავს, ბზინავს დაგუბებული ცრემლი, მკერდში ჩუმად ჰკვნესის და ჰფეთქავს გაკაჟებული გული და ესეც წუთია საუკუნისა.

აგერ ციხის ნესტიან კედლებში აჩრდილივით დაიარება ჩამომხმარი ტუსაღი. იგი მოშორებულია ყველას, მოწყვეტილი ყველაფერს. მისი აზრი დაჰქრის შორს და ამპოხობს ციხეში; მისი თვალები ნატვრით გასცქერიან კარში და ციხეში კი იღვრიმებიან; მისი გული ჰფეთქავს სადღაც შორს, სატრფოსთან, მშობლებთან, ოჯახში-ხალხში, ციხეში კი ჰკვნესის, ჰკვნესის ობოლივით და ესეც წუთია საუკუნისა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულნი, სიმშილით მოკლულნი, თოკზედ ჩამომხრჩალნი, ტყვიით დახვრეტილნი, დამცირებულნი, შეურაცხყოფილნი, წამებულნი—ეს სულ წუთებია საუკუნისა.

ბევრი, ბევრი წუთებია საუკუნეში. არავინ იცის მათი სახელი, არავინ იცის მათი რიცხვი. **უამრავნი** არიან იგინი, უსახელონი არიან ისტორიაში მათი რიცხვი, მათი სახელი საუკუნეა...

დაე ნუ დაიმახსოვრებთ თვითო წუთს ცალკე, ნუ გეცოდინებათ მათი სახელი, მხოლოდ ნურც შეურაცხყოფთ მათ და გახსოვდეთ, რომ საუკუნენი პატარა წუთებით არიან შემდგარნი.

**ლელი.**

# მოწერილი ამბავი

**დ. ბორჯომი.** 23 აპრილს დ. ბორჯომში გავმართეთ სახალხო სეირნობა და წარმოდგენა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ახლად დაარსებულ ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. სეირნობასთან ერთად იყო ბუფეტი; მოვიწვიეთ აგრეთვე სამხედრო ორკესტრი და ზურნა რომ წარმოდგენა ყველასათვის საინტერესო ყოფილიყო და ხალხიც ბევრი დასწრებოდა, ქართულ პიესის გარდა, სცენაზე დადგმული იყო რუსული და სომხური ვოდევილებიც. ამისათვის მივმართეთ, აქაურ სცენის მოყვარე რუსებსა და სომხებს, რომელთაც თავისი შრომა არ დაიშურეს და დიდი დახმარება აღმოუჩინეს სცენაზე თამაშით. არ შემიძლიან ამასთანავე მწუხარებით არ მოვიხსენო ის ფაქტი, რომელიც ჩაიდინა ერთმა ქართველმა ვაჭარმა, სამწუხაროდ, განყოფილების „გამგეობის წევრმა". რადგან ყველასათვის გაუგებარ მიზეზების გამო, ეს ვაჭარი ყოველივე საზიზღარ ჭორებს ავრცელებდა ამ სეირნობისა და წარმოდგენის წინადმდეგ. დადიოდა ქუჩა-ქუჩა და ხალხს ელაპარაკებოდა სულ ერთია, არაფერი იქნება, ესენი ვერაფერს მოაწყობენ და საზოგადოების განყოფილებასაც მალე დახურავენ, [illegible] ცდილობდა საქმე ჩაეშალა..

მიუხედავად ყველა ამისა, თითქმის მთელი ბორჯომის საზოგადოება დაესწრო სეირნობას და თავისი წვლილი ყველამ გამოიღო ასეთ საქმისათვის, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას ვუძღვნით.

შემოსავალი იყო ბილეთებისაგან 168 მ. 50 კ., ყვავილების გაყიდვისაგან 23 მ. 92 კ. და ბუფეტისაგან 110 მ. და 88 კ. სულ—311 მ. 20 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 140 მ., რომელიც უნდა მოხმარდეს ბიბლიოთეკის მოწყობას.

გამგე **ვ. ვაშაკიძე.**

**ქ. ხარბინი.** ქართველთა ურთიერთშორის დახმარების ჯერ კიდევ ნორჩ საზოგადოებას თავისი პირველ გამოსვლაზე ცხოვრების ასპარეზზე წილად ერგო ერთი ფრიად სამწუხარო საქმის გარჩევა. პირველ აპრილს აქ მოხდა საერთო კრება ხსენებულ საზოგადოების წევრთა. განსაკუთრებითი მიზანი კრებისა იყო განხილვა ლევან კირკიტაძის საქმისა, რომელმაც ვიქტორ ესაკიას გაუწია პროვოკაცია. საქმე ამ ნაირათ იყო: კირკიტაძემ დააბეზღა ესაკია პოლიციასთან, რომ ვითომც ის ყალბ ფულებს აკეთებდა. მოხდა ჩხრეკა, რომელმაც, მართლა, აღმოაჩინა ესაკიასთან ყალბი ფულები—ორი ასიანები. ესაკია, რასაკვირველია, მაშინათვე დააპატიმრეს და ციხეში ამყოფეს რვა თვე, სანამდის მის საქმეს გაარჩევდა ოლქის სასამართლო, გამოძიების დროს ცხადათ გამოირკვა, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ფული თითონ კირკიტაძეს დაუმალავს ესაკიასთან და რომ ეს უკანასკნელი სულ უდანაშაულოდ დაისაჯა. საქმე მოახსენა საერთო კრებას თ-დ გ. წულუკიძემ, რომელმაც თან წინადადება შეიტანა, რომ ლევან კირკიტაძე გამოირიცხოს საზოგადოების სიიდან. ამ საკითხმა გამოიწვია გაცხარებული კამათი, რომელშიაც ყველანი ერთის ხმით ჰგმობდნენ კირკიტაძის საზიზღარ საქციელს. ხანგრძლივი კამათს მოჰყვა დახურული კენჭის-ყრა და საკითხის შესახებ კირკიტაძეს გამორიცხვისა ქართველთა საზოგადოების სიიდან დამტკიცდა 102 ხმით წინააღმდეგ ხუთი ხმისა. მაგრამ ზოგიერთნი

---

ჩემი სიცოცხლეც ჩემ სამშობლოსავით კვნესად და ტანჯვად გადაიქცა და რაღას მეტყვი თვით სიცოცხლეზე მძიმეს, მასზე მტანჯველს?

მე არას დროს არ მავიწყდება შენი ნათხრობი. მე ყოველთვის მახსოვს იგი და მისით ვცოცხლობ.

მე მაგონდება — უკანასკნელად რომ მიამბე, თუ მთელი რვა თვე როგორ სტანჯეს ბნელ საკანში ერთი ასული. მისმა შეყვარებულმა ცხრა თვის წინად სახრჩობელაზე დალია სული. უკანასკნელად იმედიანის კოცნით გაისტუმრა იგი უცხო მხარეს მეტ სიცოცხლისათვის, მეტის შრომისათვის; სიყვარულისთვის და უეცრივ კი სახრჩობელაზე ამოჰყო თავი. მისი უკანასკნელი სალამი, უკანასკნელი გამომშვიდობება სახრჩობელადან შემონათვალი სხვამ გადმოსცა მას: „დიდხანს იცოცხლე, დიდხანს იხარე, ჩემო ნისლოვ!"

**ნიავი.**

— ო! ნისლი, საწყალი ნისლი! მან კი უკვე გაცივებულ გვამს, მიწაში ჩამარხულს საპასუხოდ შეუთვალა: „მე შენს შემდეგ აღარ მინდა არც სიცოცხლე, არც სიხარული!" და თავის სატრფოს წმიდა ხსოვნასთან მან დასდო ფიცი, რომ გაჰყვება მას იმავე გზით, როგორითაც იგი წავიდა ამ ცხოვრებიდან. რამდენიმე დღის შემდეგ მან დაიმსახურა სახელოვანი სიკვდილი ხალხის გმირისა.

რვა თვე უცადეს. რვა თვე იტანჯა, რვა თვე იკვნესა ბნელ საკანში. შემდეგ კი, როცა სიკვდილად გამზადებულისაგან წარმოიშვა ნორჩი სიცოცხლე, ეს სიცოცხლე, დედის პირმშო, მის სიყვარული სხვას გაატანეს აღსაზრდელად, ძუძუს საწოვრად. მისი მშობელი კი გაისტუმრეს სახრჩობელაზე და იქ დალია მან გმირულად ამაყი სული...

**დევნილი.**

— მითხარი, მითხარი, ნიავო, ამას შემდეგ რაღა მოხდა ჩემ სამშობლოში?

**ნიავი.**

— გეტყვი, დევნილო, გეტყვი! ყველგან მოისმის ისევ კვნესა და ტირილი მოხუც მშობელთა, შეყვარებულთა, დაობლებულთა...

ამ თხუთმეტ დღეში მრავალჯერ აიმართა სახრჩობელა სამშობლოს შვილთა ჩამოსახრჩობად; მრავალჯერ გავარდა ტყვია მამულის შვილთა გულ გასაგმირად.

ყველას გიამბობ, რაც კი მინახავს, მე არასფერს არ დავივიწყებ. მე კიდევ დიდ-ხანს ვიქროლებ ამ მხარეში და მოვასწრებ ყველაფრის თქმას.

ეხლა კი მინდა აგიწერო ერთი სურათი, გუშინ დილით ნახული, რომელმაც ყველაზე მეტად ამაღელვა, ყველაზე მეტად ამაკვნესა მშვიდი ნიავი:

— მზის პირველი სხივები ჯერ მხოლოდ აღმოსავლეთს ამშვენებდნენ, ქვეყანა კი ისევ ბინდ-ბუნდში იყო გახვეული, ვით შავ ლეჩაქში.

ღამის სიგრილემ, იმის სიჩუმემ მე ადრე გამომაღვიძა.

ცელქად და უდარდელად ჩამოვუქროლე ქვეყნებს, მთებს, ხომ ჩემი სიცელქე და უდარდელობა ტკბილ სიზმრებად ჩამენერგა მძინარეთა გულში. გზაზე დამხვდა მაღალ გორაზე, მაღალი კოშკი. სწრაფად შემოვუტრიალე მას გარშემო, შევსწვდი მაღლა, გადავქროლე გალავანში და რა ვიხილე!—იქ არ ეძინა ხალხს, იქ ჩემზე ადრე გამოეღვიძათ.

ერთ მხარეს გამწკრივებულიყვნენ ჯარის-კაცნი, შუა ეზოში კი იდგენ ხუთნი ვაჟკაცნი, ჩამოსახრჩობად გამზადებულნი. სახრჩობელას ნაცვლად აემართათ მაღალი კიბე და ჯალათი აჩრდილივით დასტრიალებდა იმის გარშემო.

მივიდა მოხუცი მოძღვარი ტუსაღებთან და სუსტი, ათრთოლებული ხმით მიჰმართა:

— სთხოვეთ შენდობა უფალსა ჩვენსა...

წინ წამოდგა შუახნის კაცი, წვერ გაპენტილი, თმა გაწეწილი. ფართედ გაშალა ძლიერი მკლავები, თითქოს ქვეყანას უნდა მოეხვიოსო, მაღლა ასწია ლამაზი თავი, თითქოს ცას უნდა ემბორიოსო, და რაღაც ზეშთაგონილის, იმ-ქვეყნიურის ხმით წამოიძახა:

— შემინდევ ჩრდილოეთო!

შემდეგ მობრუნდა სამხრეთისაკენ და შესძახა:

— შემიდევ სამხრეთო!

მერე მიუბრუნდა აღმოსავლეთს:

— შემინდევ აღმოსავლეთო?

და ბოლოს მიჰმართა დასავლეთს:

— შემინდევ დასავლეთო!

— შემინდეთ, თქვენც, მოძმენო, ჩვენ დასასჯელად აქ მოსულნო...

ათრთოლდა გული მოხუცი მოძღვრისა, აკანკალდნენ ხელები მისნი. მის მიმქრალ თვალებს ჩამოსცვივდნენ ჩუმი ცრემლები, ჩამოცურდნენ დამჭკნარ ლოყებზე, ჩამოგორდნენ ჭაღარა წვერზე, დაეცნენ ძირს და შეუერთდნენ დილის ნამს, ბალახის ფოთლებს რომ ამშვენებდა.

იგი ვაჟკაცი კი თვითვე გახდა ჯალათად თავის-თავისა. საკუთარის ხელით გადაიგდო ყულფი ყელზე, ჩამოეკიდა თოკზე და წუთის შემდეგ უსულოდ ეგდო იმისი გვამი...

**დევნილი.**

— ჰო! რატომ არ იქუხებს ცა! რატომ არ აღსდგება მიწა!..

**ნიავი.**

— ცაც ჩუმად იყო მიწაც სდუმდა; მხოლოდ მე ვსისინობდი, მხოლოდ მე არა ვსდუმდი.

...წინ წამოდგა მეორე ვაჟკაცი:

— ყველასთვის შემინდვია! მეც შემინდეთ ყველამ!

— ეი, ჯალათო! სიკვდილის წამში შენც კი მიყვარხარ! შენთვისაც შემინდვია შენი საზიზღრობა, შენი ჯალათობა! შეასრულე შენი მოვალეობა!

იგიც თვითვე მივიდა სახრჩობელასთან და თითქოს ღვთის წინაშე ასრულებენ რაღაც დიად მოვალეობასო, ისე ჩუმად დაემორჩილა ტუსაღი თავის ბედს, ისე ჩუმად ჩამოჰკიდა ჯალათმა იგი სახრჩობელაზე და ისე ჩუმათვე ჩამოხსნეს და დააგდეს მტვრიან მიწაზე...

მესამე კი სულ ბავშვი იყო. ჩვიდმეტის წლისა.

ქალწულივით ფაქიზი ხმით, ჩჩვილივით უმანკო ხმით მიჰმართა მოძღვარს:

— მოძღვარო! დედა-ჩემს უთხარით, რომ მარუსას გაუფრთხილდეს, ჩემ პატარა დას, ჩემ საყვარელ დას. ჩემ მაგიერ ის შეიყვაროს უფრო მეტად, უფრო უკეთესად.

გადაეცით, რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვა იყო ჩემი დედა და ჩემი დაიკო!..

ორ წუთის შემდეგ იგიც უსულოდ ეგდო მიწაზე.

ბოლოს ჯერი მიდგა ორზე.

იგინიც იყვნენ ახალგაზრდანი, ვაჟკაცნი, ძლიერნი. მე მეგონა, ვით ცეცხლი იფეთქებს იმათი გული, ვით ცა-იქუხებს იმათი ხმა, მაგრამ არა... იგინი არავის გამოემშვიდობნენ, არავის შეუთვალეს უკანასკნელი სალამი.

იგინი ამაყნი, ძლიერნი—სისუსტედ სთვლიდნენ ხმის ამოღებას. მე მათმა სიჩუმემ უფრო ყველაზე მეტად ამაღელვა, მათმა სიმშვიდემ უფრო ყველაზე მეტად ამაკვნესა.

ჩუმად და მშვიდად ავიდნენ ჯერ-ჯერით სახრჩობელაზე, თითქოს თავიანთ სახლის კარი შეაღესო, სადაც მოელით ერთგული სატრფო და საყვარელი ბავშვები.

ო, რამდენი სიამაყე, რამდენი სიძლიერე იყო მათ სიმშვიდეში: თითქოს სული მთელის ქვეყნისა მათში შთაინერგაო, მაგრამ... სახრჩობელა უფრო ძლიერი გამოდგა მათზე...

ცოტა ხანს შემდეგ ეს სიამაყენიც გაცივებულ გვამად ეყარნენ მიწაზე...

დიდ-ხანს ვიქროლე ქვეყნებში, მთებში; ყველგან ვუამბე ეს ამბავი, ყველა ვაკვნესე. ყველგან მესმოდა კვნესა და ტირილი მოხუც მშობელთა, შეყვარებულთა, დაობლებულთა...

**დევნილი.**

— მითხარ, ნიავო! მაგვარ საშინელების შემდეგ, ნუ-თუ ჩემ სამშობლოში კიდევ იცინის ვინმე.

**ნიავი.**

— იცინიან, დევნილო! იცინიან.

**დევნილი.**

— ნუ თუ კიდევ დადიან მინდორში, ველში გასართობად, სამხიარულოდ?

**ნიავი.**

— დადიან, დევნილო, დადიან...

მაგრამ მხოლოდ ცოტას სიცილი ჰგავს ნამდვილ სიცილს. მხოლოდ ცოტას სეირნობა ჰგავს ნამდვილ გართობას. ბევრისთვის კი სიცილ-ტირილზე უმძიმესია მინდორში გასვლა—სამარეზე უარესია. ან როგორ გაიცინებდნენ ხმა მაღლა, ან როგორ იმხიარულებენ თავისუფლად, როცა არ არის დღე შენ სამშობლოში, რომ სამშობლოს შვილთა ჩამოსახრჩობად სახრჩობელა არ ამართულიყოს, რომ მამულის შვილთა გულ გასაგმირავად ტყვია არ გასროლილიყოს.

**დევნილი**

— ოჰ, რა მძიმეა ბედი ტანჯულის სამშობლოსი...

**ნიავი**

— ხუთი წელიწადი ყოველ დღე სიკვდილი სახრჩობელაზე აწ მოძმის ტვირთი...

დევნილმა მწარედ ამოიკვნესა და დაემხო პირქვე მწვანე ბალახზე, თითქოს შავს მიწას უნდა ჩასძახოს გულში ამ ქვეყნიური უსამართლობა, საშინელება...

დიდ-ხანს იწვა ეგრე, დიდ ხანს ჰკვნესოდა ჩუმად. ნიავი კი ტალღა-ტალღად გადადიოდა მწვანე ბალახზე, დევნილის აწეწილ თმებზე და მიაქროლებდა ნახულ-ნასმენს მთებში, ქვეყნებში, ხსოვნაში, გულში...

**ლეო მეტრეველი.**

(დასასრული იქნება)

მაინც უკმაყოფილო დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით და თავიანთი უკმაყოფილობას იმით ასაბუთებდნენ, რომ კირკიტაძემ, ჩაიდინა რა პროვოკაცია, მით თითონ უარჰყო ქართველი საზოგადოება, მაშასადამე, ეს სასჯელი მისთვის არაფერს წარმოადგენსო. ამ ნაირათ დაიბადა მეორე საკითხი, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ კირკიტაძეს მოესპოს საშუალება თავისი პროვოკაციონურ მოქმედების გაგრძელებისა. ამაზე შემოტანილ იქნა ორნაირი წინადადება: ერთი—რომ კირკიტაძეს გამოეცხადოს უსასტიკესი ბოიკოტი და თან გაძევებულ იქნას მანჯურიიდან და მეორე—რომ მას გამოეცხადოს მხოლოდ ბოიკოტი. მოხთა ისევ დახურული კენჭის ყრა და ხმის უმეტესობით მიღებული იქნა პირველი წინადადება.— რადგანაც საზოგადოებას თავის თავად ვინმეს გაძევება არ შეუძლია, ამიტომ საერთო კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა იშუამდგომლოს ადმინისტრაციის წინაშე კირკიტაძეს მანჯურიიდან გაძევება. მდივანს დაევალა ამ განაჩენის გამოქვეყნება, როგორც ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე ქართულ გაზეთებშიაც. მოისმინა რა ეს გადაწყვეტილება დამნაშავე კირკიტაძემ, ქუდის მოხდით, მიმართა საზოგადოებას: „მართალია, შევცდი და ჩავიდინე ეს საზიზღარი საქმე, მაგრამ გაძლევთ სიტყვას, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იქნება. მაპატიეთ, ღვთის გულისთვის, მიხედეთ ჩემს ცოლ-შვილს“. ამაზე საერთო კრებამ უპასუხა, რომ ეხლა, როცა საქმე უკვე გადაწყდა, პატიებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. რაც შეეხება მის ცოლ-შვილის ნივთიერ მდგომარეობას, მას შეუძლია ამაზე მიმართოს საზოგადოების გამგეობას, რომელიც მოიქცევა ამ შემთხვევაში შეძლებისა გვარად... ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ა. კეიდია.

## სამეურნეო ცოდნის უქონლობა

(წერილი ქვემო იმერეთიდან)

კეთილდღეობა ხალხისა, სხვათა შორის, მიწის სიმდიდრეზე და მის წარმოებაზედაა დამოკიდებული. თუმცა მიწა ჩვენში ნაყოფიერია, მაგრამ ამ ნაყოფიერი, უხვ მოსავლიან მიწით ჩვენ ვერ ვსარგებლობთ. ჩვენ მიწას ისეთი იარაღებით ვამუშავებთ, რომ მე-XX საუკუნეში ასეთი იარაღებით მიწის დამუშავება სირცხვილიცაა, მეტადრე ჩვენთვის. იმიტომ რომ ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდან სასოფლო სამეურნეო ქვეყანათ ითვლებოდა. არ ვიცით მიწის მოვლა, დამუშავება, არ ვიცით საქონლის მოშენება, არ ვიცით აბრეშუმის მოვლა და არ ვიცით მოშენება ხილეულობისა და მწვანეულობისა. დღეს როდესაც სასოფლო მეურნეობა სხვა ქვეყნებში სისწრაფით მიექანება წინმსვლელობის გზაზედ, ჩვენში ისე ერთ წერტილზე დგას და ხშირად უკანაც კი იხევა. უკან დახევა კი იმაში გამოიხატება, რომ თუ წინით ერთ დესეტინა მიწაზე დაახლოვებით 200 ფუთი სიმინდი მოდიოდა, ეხლა 60—80 ფუთი ძლივს მოდის. დღეს, როგორც ამ ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან სჩანს, მიწა იმდენად გამოფიტრული და მომცდარია, რომ დესეტინა მიწაზე 140—120 ფუთიდ იკლო მოსავალმა ეს კი იმის გამო მოხდა, რომ მიწას ნოყიერება წაართვა უვარგისი იარაღებით დამუშავებამ. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მოსავალი მანამდე იკლებს, სანამ ხმარებაშია ძველი, პატრიარქული მიწის დამამუშავებელი იარაღები იქნება ეგრეთვე არ იცის ჩვენში გლეხკაცთა უმრავლესობამ მიწის განოყიერება. არ იციან ამასთანავე არც ის, თუ რა დროს უნდა მიწას მორწყვა. ყოველივე ეს ზემოთ მოყვანილი მიზეზები საკმაოა, რომ მიწამ ნაკლები მოსავალი მოგვცეს. ან კი საიდან გვეცოდინება მიწის დამმუშავებელი, გაუმჯობესებული იარაღების მნიშვნელობა, როდესაც ამის შესახებ ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს. თუმც სამართლიანი კი იქნება, რომ ამ უკანასკნელს ასწავლიდნენ ორ კლასიან სასწავლებლებში, მაგრამ სამართლიანობას ვინ დაგიდევს. სხვა დარგები მეურნეობისა კი თან და თან უკან-უკან მიდიან და თუ ასე გაგრძელდა მთლადაც აღიგვებიან დედა-მიწის პირიდან. დღევანდელ მომენტში ამ მხრით მხოლოდ ინტელიგენციას შეუძლია ხალხის სამსახური, სამეურნეო წიგნაკების გავრცელებით ხალხში. მანვე უნდა ჩააგონოს ხალხს სასარგებლო ცოდნა სამეურნეო დარგიდან. ინტელიგენცია ასეც მოიქცევა, თუ კი მას მართლა უნდა ხალხის სამსახური.

გ. ფახკუნჯი.

## თეატრი და ხელოვნება

**ლიტერატურული საღამო.** შაბათს, 8 მაისს, ქართულ თეატრში გრ. რობაქიძე მართავს ლიტერატურულ საღამოს. მოგვყავს პროგრამა. განყოფილება პირველი: 1. ვაჟა-ფშაველა: „კლდის ქალი“, (ლექსი): 2. ნ. ლორთქიფანიძე: „უკვდავი გველი“, (მინიატიურა); 3. ი. მაჭავარიანი: ლექსი; 4. ილ. ელეფთერიძე: „სიყვარულის ყვავილი“, (ნოველლა); 5. ახოსპირელი: „გედის ტირილი“, (ლექსი); 6. შ არაგვისპირელი: „ოლოლი“, (ეტიუდი). განყოფილება მეორე: 1. კ. მაყაშვილი: „მხეცი და მხატვარი“, (ლექსი); 2. გრ. დიასამიძე: ესკიზი; 3. კიტა აბაშიძე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო“, (მოკლე ლექცია). განყოფილება მესამე: 1. ი. გრიშა—ლი: რომანსი; 2. სვ. ყიფიანი: „სახიფათო ხუმრობა“, (ესკიზი); 3. ივ. გომართელი: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია“, (მოკლე ლექცია). განყოფილება მეოთხე: 1. ა. შანშიაშვილი: „სუმბული“, (ლექსი); 2. ლ. მეტრეველი: „მუსიკა“, (ესკიზი); 3. გრ. რობაქიძე: „რუსთაველის შემოქმედება“, (ლექციის ნაწილი).

**გორი.** კვირას, 2 მაისს, ეგრედ წოდებულ „რკინის გზის თეატრში“ სასცენო ხელოვნების მოყვარეთა მიერ მსახიობ ზ. მაჩაბლის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა პოტოს სამ მოქმედებიანი დრამა „აღსდგა მკვდრეთით“ და კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“, კომ. ერთ მოქმედებად. პიესის უმთავრესი გმირი—ქალის მარუჩას როლს ასრულებდა ქ-ნი ნ. ბასილაშვილი. გასაკვირვი არაა თუ ამ ახალგაზრდა სცენის მოყვარემ ვერ მოინელა ეს ფრიად რთული როლი და ტიპიურადვერ დაგვისურათა გმირული გულის, ამაყი სულის, ნაზი გრძნობების პატრონი ქართველი ქალი—თინათინი, ტყვეობაში მარუჩად წოდებული, რომლის ცხოვრება მეტადრე მონობის დროს ტრაგიზმითაა სავსე. ზოგზოგ ალაგებში მაინც კარგი იყო იგი მეტად მოუხეშავი, უსიცოცხლო პიეტრო იყო გ. ყ—ლი. კარგი მოძღვარი იყო ზ. მაჩაბელი, თუმცა როლის ცოტა უცოდინარობა ეტყობოდა. არა უშავდა რა ისმაილ ბეგს (ბათიაშვილი) მონოტონურად რომ არ ლაპარაკობდეს. ვერაფერი შაჰ-ი იყო დეკანოზიშვილი. ეს როლი მისი ამპლუა არ არის და ეს რეჟისორს მხედველობაში უნდა მიეღო. მრისხანე, სისხლის მწყურველი, დინჯი ირანის მპყრობელის მაგიერ თავის სხაპა სხუპი ლაპარაკი და შეუფერებელი მიხვრა-მოხვრით უფრო თანამედროვე ბოქაულს მოგვაგონებდათ. პირველი ნაკლი როლების უცოდინარობა იყო. რეჟისორმა ამას პირველი ყურადღება უნდა მიაქციოს და მოითხოვოს მოთამაშეთაგან მეტი უნარის გამოჩენა როლების დასწავლაში სუფლიორის ხმა მაღლა კითხვა სჭრიდა მსმენელის ყურს. მისი ხმა ქუჩაში გამოდიოდა. სასაყვედუროა საზოგადოებაც თამაშის დროს ბაასის და ყალმაგო ალაგას სიცილისთვის. კარგი იქნება ადმინისტრატორიც თავის მოვალეობას თვალყურს ადევნებდეს.. ზალაში პირველ მოქმედების დროს ძაღლი შემოეშვათ ერთი ორმა წიხლი ამოჰკრა და საცოდავად ააყვირა. თამბაქოს წევაც უნდა აიკრძალოს თეატრში. —ბევრი აცინეს საზოგადოება „დატრიალდა ჯარაში“ გ. ყანჩაველმა, ბასილაშვილმა და ბათიაშვილმა, რომელიც ტიპიური სოსია-გლეხი იყო.

ხტუმარი

## მოძრაობა ალბანიაში

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ „ერთობისა და თავისუფლების“ პარტიის სალონიკის კომიტეტი თხოულობს, რომ დღევანდელ მწვავე მდგომარეობის გამო მთავრობა კომპრომის გზას დადგეს. კრიტეს საკითხი გამწვავებულია. ედუარდის სიკვდილმაც შესაძლებელია პოლიტიკური კონიუნკტურა შესცვალოს ამიტომ მთავრობა უნდა შეეცადოს იარაღით კი არ გადასწყვიტოს ალბანიის დღევანდელი კრიზისი, არამედ დათმობით და კომპრომისით. მესამე კორპუსის უფროსი და აფიცრობაც ამავე აზრს ადგია. ისინი ამბობენ, დღევანდელი მდგომარეობა თხოულობს მაკედონიაში ჯარი ვყოლიოთ და ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნეთო. სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ სამხედრო მინისტრი ოსმალეთისა მაჰმედ შევკეთ-ფაშაც ამავე გზას დაადგება, რაკი ალბანიის მდგომარეობას კარგად გაეცნობა. რეფორმების შემოღებას დროებით შეაჩერებს და ჯარს კი დასტოვებს ალბანიის ზოგიერთ ადგილებში. მხოლოდ როდესაც ალბანია დამშვიდდება ოსმალეთი მაშინ შეუდგება რეფორმების გატარებას. „ნოვოე ვრემ.“ კორესპონდენტის სიტყვით ამჟამად ალბანიაში 67 ბატალიონი, ოსმალეთის ჯარია და ორ უმრავლეს ჯგუფად არის გაყოფილი: აღმოსავლეთის ჯგუფი მოქმედობს უმთავრესად გილანში, სადაც ამ ბოლო დროს მუდმივი შეტაკებები ხდება. ამ რაიონში ოსმალებმა დიდი ძალა დაჰკარგეს. ბაირაღი, ჯარი და მერვე პოლკის მთელი ბარგი ბარხანა. დასავლეთის ჯგუფი უფრო ძლიერია. ის მოქმედობს ფერიზოვიჩში. თუ ოსმალები დაიჭერენ ჩრდილოეთის უ...ელტეხილს მაშინ გადასწყდება აჯანყებულ ალბანელთა ბედი..ღბალი და ისინი იძულებული იქნებიან მთავრობის პირობებზე დასთანხმდნენ—დასძენს კორესპონდენტი. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ალბანელების მოძრაობა გაიზრდება რადგან ცნობებია, რომ მონასტრის ვილაიეთს ჩრდილოეთ ოლქშიც ალბანელმა მეამბოხებმა აჯანყების დროშა აფრიალესო.

## უცხოეთი

**არჩევნები საფრანგეთის პალატაში.**

უკანასკნელად მიღებული უცხოელი გაზეთები საკმაოდ გარკვეულ სურათს იძლევიან მომავალ პალატის საზოგადო შედგენილობის შესახებ, რომელიც 1 ივნისს (ახ. სტ.) უნდა შეიკრიბოს. როგორც პირველსავე დღეების არჩევნებმა გვაჩვენეს, მომავალი პალატა პარტიულ ძალთა ურთი-ერთობით თავის წინამორბედს ემგვანება. რადიკალების და მათი უახლობელესი მოკავშირეების, დამოუკიდებელი სოციალისტების, დამარცხება ხელახალ არჩევნებზე (22 ადგილის დაკარგვა), აგრეთვე შეერთებული სოციალისტების გამარჯვება (20 ადგილის შეძენა) არ სცვლის საერთო სურათს. უმრავლესობის პარტიებს (რადიკალებს და რადიკალ-სოციალისტებს, დამოუკიდებელ სოციალისტებს და მემარცხენე რესპუბლიკელებს) სულ 346 ადგილი ექმნებათ; მემარჯვენე ოპოზიციას (პროგრესისტებს და კონსერვატორებს) 145 ადგილი, ხოლო მემარცხენე ოპოზიციას ე. ი. შეერთებულ სოციალისტებს 78; დაახლოვებით 25 დეპუტატი გამოურკვეველს მდგომარეობაში იმყოფება. გაზეთები ყურადღებას აქცევენ პროპორციონალური სისტემის მომხრეების გამარჯვებას: შარლ ბენუამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა ხელახალ არჩევნებზე: მან მიიღო 11,000 ხმა, მისმა მოწინააღმდეგემ მხოლოდ 867. პროვინციაშიც იმარჯვებდენ პროპორციონალისტები. აქედან გაზეთებს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ საარჩევნო რეფორმას ახალ პალატაში დიდი შანსები ექმნება განსახორციელებლად. „ბერლინერ ტაგებლატს“ მოჰყავს საერთო რიცხვი სხვა და სხვა პარტიების მიერ მიღებულ ხმებისა: რადიკალებმა და დამოუკიდებელმა სოციალისტებმა მიიღეს ერთად 2,298,500 ხმა, ხმა შეერთებულმა სოციალისტებმა 629,500, პროგრესისტებმა 1,230,000 და რეაქციონერებმა 425,000.

**საფრანგეთის პარლამენტი.**

უცხოეთის გაზეთების ცნობით საფრანგეთის დეპუტატთა პალატა ამ სამი კვირის შემდეგ შეიკრიბება. უკვე გამორკვეულია, თუ როგორი იქნება პალატის შემდგენლობა. პარტიათა ჯგუფების განაწილება იგივე იქნება როგორიც ძველ პალატაში. რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა ხელმეორედ არჩევნების დროს 22 ადგილი დაჰკარგეს, ხოლო შეერთებულმა სოციალისტებმა დაიჭირეს 20 ახალი ადგილი, მაგრამ სურათი მაინც ძველებური დარჩება მომავალ პალატაში. ახალი პირები ბევრი ამოირჩიეს დეპუტატებად. თითქმის ერთი მესამედი—207 კაცი ახლებია — წინად 156 დეპუტატი იყო ახალი. უმრავლესობას (რადიკალებს, რადიკალ-სოციალისტებს, დამოუკიდებელ სოციალისტებს და მემარცხენე რესპუბლიკელებს) 346 დეპუტატი ეყოლება. მემარჯვენე ოპოზიციას (პროგრესისტები და კონსერვატორები) 145 დეპუტატი, ხოლო მემარცხენე ოპოზიცია—შეერთებულ სოციალისტებს—78 დეპუტატი. 25 დეპუტატის პარტიული ვინაობა გამორკვეული არ არის. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პროპორციონალურ არჩევნების სისტემის მომხრეებმა გაიმარჯვესო შარლბენუამ ხელმეორედ არჩევნების დროს 11000 ხმა მიიღო, მაშინ როდესაც იმისმა მოწინააღმდეგემ მხოლოდ 867 ხმა. პროვინციაშიც პროპორციონალურ არჩევნების მომხრენი იმარჯვებდნენ. „ბერლინ. ტაგებლ.“ კორესპონდენტს დაუთვლია, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო: რადიკალებს და დამოუკიდებელ სოციალისტებს მიუღიათ სულ 2.298.500 ხმა, შეერთებულ სოციალისტებს 629.500 ხმ. პროგრესისტებს 1.230.000, და რეაქციონერებს 425.000 ხმა.

**ინგლისის მეფის ფიცი.**

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა მეფის ტახტზე ასვლის დროს ფიცის მიღების შესახებ. მეფე ედუარდის ტახტზე ასვლის დროს პრინცმა ნორფოლკმა პროტესტი განაცხადა ფიცის ძველ ტექსტის შესახებ, რადგან იმ ტექსტში შეურაცხყოფაა კათოლიკეთა სარწმუნოებისა, რომელიც ცრუმორწმუნეობად და კერპთაყვანისცემად არის აღიარებული. გასულ წელს ასკვიტმა მოიწადინა ტექსტის შეცვლა და კონსერვატორების მეთაურებმაც დახმარება აღუთქვეს. ირლანდიელ კათოლიკეთა მეთაურმა რედმონდმაც ასკვიტს თანხმობა გამოუცხადა. დღეს ატყობინებიან ლონდონიდან, რომ აუცილებლად შესცვლიან ტექსტსაო. ახალ ფორმულაში ისევე მოხსენებული იქნება, რომ მეფე ვალდებულია დაიცვას პროტესტანტობა, მხოლოდ ძველი ტექსტიდან ამოშლილი იქნება რაც შეეხება კათოლიკეთა სარწმუნოებას, და პაპს ტექსტის შეცვლის წინააღმდეგნი იყვნენ ირლანდიელი პროტესტანტები.

## რუსეთი

**—ფინლიანდიის საქმეები.** ფინლიანდიის სენატის პროკურორი, რომელმაც დიდი ხანია თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გასვლის შესახებ, ამ დღეებში განთავისუფლდება სამსახურიდან. იმავე დროს მისი მოადგილის არჩევანიც მოხდება. პროკურორის გასვლას კავშირი აქვს საერთო საიმპერიო კანონ-პროექტთან.

28 აპრილს სენატს ეცნობა მოხსენება რომელიც გამოგზავნილი იყო ჯერ კიდევ ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორ გენ, ბეკმანისაგან; მოხსენებაში ნათქვამია, რომ სენატმა არ უნდა დაივიწყოს 1890 წელს გამოცემული უმაღლესი მანიფესტი. ამ მანიფესტით რუსეთის კანონების ძალით უნდა გაასამართლონ ის რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც დ ნაშაულს ფილიანდიაში ჩაიდენენ. დიდი ხანია მთავრობა ცდილობს განახორციელოს ეს, და თუ მკითხველს ახსოვს სცდილობდნენ განეხორციელებინათ განზრახვა იუშკევიჩის პროცესის დროს. სენატმა მოხსენება კომისიას დაავალა.

როგორც გამოირკვა 17 ოქტ. პარტიაში, ფინლიანდიის სასარგებლოთ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმას მიცემს გადაუწყვეტია 16 კაცს: ამ მცირე ჯგუფს გადაუწყვეტია დაბეჯითებით გაილაშქროს კანონ-პროექტის წინააღმდეგ პარტიაშიც კი, თუმცა საეჭვოთ მიაჩნიათ მიაღწევენ მიზანს თუ არა. ამ მცირე რიცხოვან ჯგუფში ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებიც ურევია.

**—ოპოზიციის წარმომადგენლების პროტესტი.** ბობრინსკიმ, ეფრემოვმა, მილიუკოვმა, პარჩევსკიმ და როდიჩევმა შეიტანეს დასაბუთებული პროტესტი იმ კომისიაში რომელიც იხილავს ახალს საერთო საიმპერიო კანონ-პროექტს. პროტესტი ასეთ ხასიათისაა. ჩვენ გვეგონა რომ ან ისტორიულ საბუთებს, ან იურიდიულს ექნებოდა რამე მნიშვნელობა კომისიისათვის. ჩვენ გვინდოდა დაგვეცვა როგორც ფილიანდიის სამთავროს ძირითადი კანონები ისე მთელი იმპერიისა, რადგან წინააღმდეგი მოქმედება დარღვევა იქნებოდა ორივესი, მაგრამ პირველისთვე გამოირკვა, რომ უმრავლესობას წინდაწინ გადაწყვეტილი აზრი ამოძრავებდა და ყოველივე ჩვენი შენიშვნა უნაყოფოთ რჩებოდა. მეორე სხდომაზე როცა გადავედით პროექტის პუნქტებით განხილვაზე ერთი პუნქტი, მეორეზე ზედი ზე სიჩქარით იქნა მიღებული და ამით დაირღვა საუკუნოებითი პრინციპები და კანონები ფილიანდიის სამთავროში. ამ რიგათ როცა დარწმუნდით რომ აზრთა გაცვლა გამოცვლა არავითარ შედეგს არ მოგვცემს, ჩვენ აქ დარჩენა ზედმეტათ მიგვაჩნია. ვანებებთ რა თავს კომისიაში მუშაობას, მთელ პასუხისმგებას თქვენ გაკისრებთ და ჩვენ საქმეში აღარ ვერევით. ამ რეზოლიუციას ხელი მოაწერეს ზევით დასახელებულ პირებმა.

**—ახალი საგინებელი სიტყვა.** სოფელ სტარაია ზბურიევკის ერთ მცხოვრებს ჩხუბი მოსვლია თავის მეზობელ ლ ლარჩენკოსთან და „პურიშკევიჩი“ უწოდებია. ლარჩენკომ ეს შეურაცხყოფად მიიღო და დანით დასჭრა ბელოსკცი. ლარჩენკო დააპატიმრეს.

**—გუჩკოვის და უვაროვის დუელის საქმე.** ოთხშაბათს, 5 მაისს პეტერბურგის ოლქის სასამართლოს უნდა განეხილა საქმე გუჩკოვისა და უვაროვისა, რომელთაც დუელში გასვლა ბრალდებათ.

**—ბრძანება.** ურჟუმში ადმინისტრაციას გამოუცია ბრძანება, რომლის ძალითაც მცხოვრებთ, გარდა სტრაჟნიკებისა, ფოსტალიონებისა და ძროხებისა არ მიუციათ ნება ატარონ ზარები. ამ ბრძანებამ მცხოვრების უკმაყოფილება გამოიწვია და პოლიციამ დაშინებით დააჩუმა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში ჩვენ თხოვნას. ბოდბის ხევის სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სწავლა-განათლების საქმე, შემოსწირონ ჩვენს სამკითხველოს რამე დახმარება ფულით ან წიგნებით.

Адресъ: въ г. Сигнахъ, Бодбисхевской библиотекѣ.

გამგეობის თანდობილობით

რამან მჭედლიშვილი.

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიან**.

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—94)

## გამოვიდა და იყიდება

ტფილისში, წ. კ. საზ. მერკვილაძის და გაღილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართულ თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: **„ცოლი ვიტირო თუ ფული“**—მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, **„უმადლის ბრალია“**,—გიდევან გედევანოვისადმი,—**„ბედმა მიღალატა“**,—ვასო აბაშიძისადმი, **„უშნო არშიყი“**, და სხვა. თუ ვისმეს სურს გაეგზავნება 25% გამორიცხვით წიგნის ფასები 10—20 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (10—240—8)

## ყ ვ ე ლ ა მ,

ვისაც სურს გააკეთოს რამე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ

## სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში

## ი. ფონ-ბრენერისა.

სერგეევის ქ. № 4.

იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილების და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.

გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—3)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„რ ო ზ ა“

(„ვარდი“)

ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—9)

## სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდე-ყვირული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—41)